პრობლემა

# გავიყოთ აფხაზეთი შუაზე

**30 იანვარს თავდება ე.წ. სამშვიდობო ჯარების ენგურზე დგომის მორიგი 6-თვიანი მანდატი და კვლავ დადგა აჟიოტაჟის ჟამი! ყველას ესმის, რომ ეს დე-ფაქტო სასაზღვრო ჯარია, ვინაიდან არავითარი ბრძოლები ენგურზე არ წარმოებულა და არც არავითარი სხვა ფუნქცია, გარდა სასაზღვროსი, ამ ჯარებს არ გააჩნია; მაგრამ მანდატის შეჩერება ან შეცვლა შეუძლებელია მოსკოვში 1994 წლის 4 აპრილს ხელმოწერილი კაპიტულანტური დოკუმენტების გაუქმების (დეზავუირების) გარეშე, რაც არ ხდება!**



*სხვანაირად რომ გვევლო, ბევრ უბედურებას ავიცილებდით*

თითქმის ბოლო დრომდე მოლაპარაკებებზე ჩვენი დელეგაცია, საბჭოური ტრადიციით, მხოლოდ ორ ურთიერთგამომრიცხავ უკიდურესობას ცნობდა: გასაგებ, მაგრამ არარეალისტურ რევანშიზმს და ფატალისტურ კაპიტულანტიზმს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მოლაპარაკებებზე ჩვენი მხრიდან პროფესიონალიზმი მკვეთრად ამაღლდა, ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ვართ ჩიხში და სინამდვილეში აფხაზეთში დაბრუნება მოსალოდნელი არ არის თვითონ კონცეფციის გამო, რომელიც არ შეცვლილა! ამიტომ არავის არ ესმის, თუ რაზეა სეპარატისტებთან მოლაპარაკებები; მაშინ როდესაც:

*1. ხელისუფლება ახალ იდეას არ აყენებს, რაც აფხაზებს კონფლიქტამდე არ ჰქონდათ! ე.ი. თავიდანვე ცხადია, რომ სეპარატისტები მათ არ მიიღებენ.*

*2. ამის საწინააღმდეგოდ, სეპარატისტები რომც დათანხმდნენ საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებაზე, ამას მხოლოდ თავიანთი რეჟიმის დე-იურედ აღიარების შემთხვევაში გააკეთებენ! ე.ი. ცხადია, რომ დევნილების მასა არძინბას აფხაზეთში ვერ ან არ დაბრუნდება.*

*3. ძალოვანი ვარიანტის შემთხვევაში ქართველებს ენგურზე რუსის ჯარი არ გადაუშვებს – ის იქ მხოლოდ ამიტომ დგას!*

*4. ხოლო რუსეთისათვის დიდი დათმობების ფასად (სამხედრო ბაზები, ფოთი, რეალური სუვერენიტეტი, და ა.შ.) ღალიძგაზე გასვლა მხოლოდ სამურზაყანოს, და არა აფხაზეთს, გვიბრუნებს, რომელიც მოწინააღმდეგეს ისედაც მხოლოდ შანტაჟისათვის აინტერესებდა.*

მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა - არ არსებობს და გამოსავალი არა-საბჭოურ, ახალ აზროვნებაში უნდა ვეძებოთ. ეს კი ნიშნავს არ ვეცადოთ იმის რეანიმირებას, რასაც მხოლოდ იმ საბჭოთა კავშირში შეეძლო არსებობა და რასაც აფხაზეთის ასსრ ერქვა, ვინაიდან იქ სისხლიანი შიდა კონფლიქტი მოხდა და, მისი ძველი სახით აღდგენა სრული უტოპიაა!

3

ქალაქში აშენებული სახლების | ეტაპებზე. მაასტრიხტის დონის | განსახილველ...

პრობლემა

# გავიყოთ აფხაზეთი შუაზე

1 როდესაც შიდა პოლიტიკურ კონფლიქტს აქვს ადგილი, რომელიც ეთნო დაპირისპირებაში გადაიზრდება, მიმართავენ იდეას, რასაც პოლიტიკაში „ცივილიზებულ დაცილებას" უწოდებენ, ვინაიდან ეს არის კონფლიქტის განმუხტვის ერთადერთი რეალური საშუალება! მის უახლეს, და უკვე, კლასიკურ მაგალითად ასახელებენ ერთი სახელმწიფოს და ახლო ნათესავი ხალხის - ჩეხოსლოვაკიის ორად გაყოფას. ასევე დავამატებდი, რომ რუსსა და უკრაინელს შორისაც არაა დიდი განსხვავება, რუსეთის ისტორია ხომ სწორედ კიევში დაიწყო, მაგრამ დრომ მოიტანა მათი ამ ეტაპზე დაცილება! და თუ ცენტრალურ ან აღმოსავლეთ ევროპიდან „ველურ კავკასიაში" გადმოვინაცვლებთ, აქაც ერთი ხალხი - ქისტები (ვაინახები) ძმურად გაიყვნენ: ერთი ნაწილი - ინგუშეთი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი - ჩეჩნეთი სულ სხვა გზით წავიდა. ხოლო როდესაც ორ მოძმე ხალხში ქიშპობა ისადგურებს, ერთ მიწაზე მეზობლურად ცხოვრება აღარ უნდათ და ერთმანეთის მიმართ ომს იწყებენ - მათ ძალით აცილებენ (კვიპროსი, ბოსნია...). არა და გარედან ყველა ვხედავთ, რომ თუნდაც ბოსნიის გრძელი და სისხლიანი ომი რა უაზრობა იყო, თუ იგი მაინც გაყოფით დამთავრდებოდა, რასაც ცივილიზებული ხალხი უომრადაც ახერხებს...

ამიტომ მე, როგორც ექსპერტი, ვაცხადებ - აფხაზეთი რომ საქართველოს შემადგენლობაში ორ ავტონომიად დაყოფილიყო, გუმისთაზე დემარკაციით - ბევრ უბედურებას ნამდვილად ავიცილებდით! ავტონომიური რესპუბლიკა არსებულ საზღვრებში ხომ თავიდანვე ანომალია იყო და მით უმეტეს ეხლა, ომის შემდეგ, მისი აღდგენა ერთი მხარის მიერ მეორის სრული ეთნიკური წმენდის გარეშე - ახალი ომის გარანტია იქნებოდა! ე.ი. ან ეთნიკური წმენდის დაშვება ან გაყოფა - ეს არის პოლიტიკის ანბანი!

ამიტომ არ ვიცი, თავს რად ვიტყუებთ: „შეგვიშვან უკან და როგორ კარგადაც უწინ ვცხოვრობდით, ისევე ვიცხოვრებთო!" ყველამ კარგად იცის, რომ გუმისთაზე ერთი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი სისხლი დაიღვარა გუდაუთელ აფხაზებსა და სოხუმელ ქართველებს შორის! და თუ „სისხლით ძმებს" - ჩეჩნებსა და ინგუშებს შეუძლიათ უკონფლიქტოდ გაიყარნონ, ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე მით უმეტეს უნდა ვაღიაროთ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გუდაუთელ სეპარატისტებთან დაცილების და აფხაზეთის გაყოფის აუცილებლობა!

ამასთან დაკავშირებით აფხაზებმა მოიგონონ, რომ ჩეჩნებს დღეს ბევრი სიმპათიით უყურებს მათი „ზომიერი მადის" გამო, ვინაიდან ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხოლოდ ერთი ნაწილი მოინდომეს. ასევე ყურადღება იმასაც მივაქციოთ, რომ სოხუმის დაცემამდე საერთაშორისო ორგანიზაციები საკმაოდ გულგრილად უყურებდნენ აფხაზურ კონფლიქტს, ვინაიდან 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებით აფხაზეთის დე-ფაქტო დანაწილება გულში საკმაოდ სამართლიანი ეჩვენებოდათ (მეც ვფიქრობდი, რომ ის დემარკაცია სასწრაფოდ იურიდიულად უნდა გაგვეფორმებინა და შემდგომი ომი და უბედურებები აგვეცილებინა)... მაგრამ ჩვენი მხარე მაქსიმალისტურად რჩებოდა, ხოლო ნაქეზებულ სეპარატისტებს მადა გაეღვიძათ და იმაზე მეტის ჩაყლაპვა მოინდომეს, რისი მონელებაც შეეძლოთ, რის გამოც ეხლა სრულ საერთაშორისო იზოლაციაში არიან! თუმცა ეს ნუგეში ვერაა ჩვენთვის...

23 ნოემბრის არჩევნებითა და პლებისციტით დაგვირგვინდა ის, რაც ქართული უნივერსიტეტის ფილიალის გახსნით დაიწყო 1989 წლის 15 ივლისს - აფხაზეთის ორ ნაწილად გაყოფა. დღეს აფხაზეთის კანონიერ მოსახლეობას დე-ფაქტო ორი სხვადასხვა ხელისუფლება ჰყავს; მაგრამ ეს ორივე ადმინისტრაცია მაქსიმალისტურ პოზიციაზე დგას და პრეტენზიას აცხადებს დღეისათვის სრულიად არარეალურზე - რომ თითქოს მხოლოდ ერთერთი მათგანი წარმოადგენდეს მთელი აფხაზეთის მოსახლეობას, მაშინ როდესაც თვითოეული აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილს ეყრდნობა და სრულიად უგულვებელყოფს მოსახლეობის მეორე ნაწილს. რასაკვირველია, არც ერთი ობიექტური ადამიანი არ გაათანაბრებს აფხაზეთის ქართულ ადმინისტრაციას - სეპარატისტ მკვლელებთან, მაგრამ სეპარატისტები აკონტროლებენ მთელ ტერიტორიას და კანონიერი მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ უჭერს მხარს!

ასე, რომ, თუ კიდევ ერთ ახალ ომზე (იმედია) უარს ვამბობთ, ვინაიდან ის მხოლოდ ქართველი და აფხაზი ხალხების მტრებისათვის იქნებოდა სასარგებლო, (თან არავის აღარ უნდა კვლავ ღამე პურის რიგები და ჰიპერინფლაცია), მაშინ უნდა მივხვდეთ, რომ აუცილებელია დაფიქსირდეს წლების განმავლობაში არსებული რეალობა და ავტონომიური რესპუბლიკა დე-იურედ გაიყოს ორ ნაწილად, თავისი შესაბამისი ორი ადმინისტრაციით!

ამ გზით თითოეული მხარე დაიტოვებდა აფხაზეთის გარკვეულ ნაწილს, დაახლოებით 23 ნოემბრის პლებისციტსა და არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციისა. საერთაშორისო ორგანიზაციები ამას დიდი ენთუზიაზმით დაუჭერდნენ მხარს როგორც ახალ პრეცენდენტს, ვინაიდან:

*1. დაცული აღმოჩნდებოდა როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ისე ერთა თვითგამორკვევის პრინციპები;*

*2. დევნილთა უმრავლესობა სწრაფად დაბრუნდებოდა თავიანთ სახლებში;*

*3. კონფლიქტი უომრად, დემოკრატიულად, კომპრომისით გადაწყდებოდა. ასეთ შემთხვევაში კი ჩრდილო ავტონომიას უკვე სრული მორალური და იურიდიული უფლება ექნებოდა მოეთხოვა რაღაც განსაკუთრებული სტატუსი, (თუნდაც კემპდევიდში ტერორისტ არაფატისათვის მიცემულის მსგავსად), რისი მოთხოვნაც მთელი აფხაზეთისათვის - დღეს სრულიად არასერიოზულია!*

მხოლოდ ტერიტორიულ დათმობაზე თანხმობის შემთხვევაში შეიძლებოდა „გუდაუთის რეჟიმთან" მოლაპარაკებების განახლება ყველა ეკონომიკური სანქციების მოხსნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში კი რუსული ჯარები სრული სამშვიდობო მანდატით განლაგდებოდნენ ყოფილი საომარი კონფლიქტის ტერიტორიაზე, ე.ი. გუმისთასა და ღალიძგას შორის, რაც დევნილთა სახლებში დაბრუნების საკითხს ავტომატურად და სწრაფად გადაჭრიდა...

ყოველივე ამის შედეგად კი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებიც თვისობრივად ახალ სტადიაში შევიდოდნენ, ვინაიდან რუსეთს შანტაჟის ყველაზე ძლიერი კოზირი დააკლდებოდა, თან მათი ინტერესებიც საკმაოდ სრულად იქნებოდა გათვალისწინებული...

აქ მთავარი პრობლემა შეიძლება ყოფილიყო კონსტიტუცია, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაზე, ხოლო საბჭოთა პერიოდში დაფიქსირებული ხელოვნური საზღვრების შიგნით კვლავ ბოლშევიკებისაგან ნაანდერძევი დრომოჭმული ადმინისტრაციული დაყოფა გვაქვს.

გასაგებია, რომ ასეთი გზა დიდ მოქალაქეობრივ ვაჟკაცობას მოითხოვს ხელისუფლებისაგან, ვინაიდან დემაგოგები გარდაუვლად იყვირებდნენ „ისტორიული მიწების გაცემის" შესახებ - მაგრამ დღეისათვის დაკარგული აფხაზეთის „ისტორიულობა" არაფერს არ აძლევს უსახლკარო დევნილებს!

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ისრაელის ხელისუფლების მიერ, რომელსაც ვერავინ ვერ დასწამებს კაპიტულანტობას თუ სისუსტეს, კემპ-დევიდში თავისი ისტორიული მიწების რაღაც ნაწილის (თუნდაც ბიბლიური ბეთლემის) პალესტინელებისათვის დათმობა სპეციალური ავტონომიის სტატუსით, რათა თავისი საკუთარი ხალხისათვის შეექმნა მშვიდობიანი ცხოვრებისა და ეკონომიკური განვითარების პირობები, და რაც მსოფლიომ ნობელის მშვიდობის პრემიით დააფასა...

ეს პროექტი იმდენად მისაღებია საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, რომ უკიდურეს შემთხვევაში სეპარატისტთა თანხმობაც კი არ არის აუცილებელი - ჩვენი მთავრობის მიერ საკითხის სწორად დაყენების შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციები მოსთხოვდნენ რუსეთს (და იგი უარს ვერ ეტყოდა), თავისი „სამშვიდობო" ჯარების ენგურიდან გუმისთასა და ღალიძგაზე რედისლოკაციის შესახებ, დანარჩენი კი ავტომატურად მოგვარდებოდა და დევნილებიც სწრაფად დაბრუნდნებოდნენ სახლებში, ე.ი. - ყველაფერი კარგ დიპლომატიაზეა დამოკიდებული! როგორც უდიდესმა მეომარმა - ნაპოლეონმა ბრძანა წმინდა ელენეს კუნძულზე: „მსოფლიოში ბატონობს ორი რამ - ხმალი და ინტელექტი; საბოლოო ჯამში კი ინტელექტი იმარჯვებს!"

ასეთი გეგმის რეალიზაციით საბოლოოდ ვაქცევდით ზურგს კოლონიურ წარსულს, ვინაიდან ჩვენს მიერ მოულოდნელად ასეთი ცივილიზებული და სამაგალითო პოლიტიკის („რეალპოლიტიკის") გატარებით განცვიფრებულ ევროპას შესაძლებელია თავისიანადაც ვეცნეთ და იქნებ დაწყებულიყო ძირითად ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი ინტეგრირების პროცესი, რაც დღეს ჯერჯერობით მხოლოდ ლამაზი ფრაზების დონეზეა! თორემ ასეთ ღატაკ ქვეყანასთან ურთიერთობას, ევროპაზე რომ არაფერი არა ვთქვათ, მალე ალბათ არც „ახალი რუსები" აღარ მოინდომებენ, თურქებსაც მობეზრდებათ ჩვენი „ბიზნესმენების" ლტოლვა მხოლოდ ჩამოწერილი საქონლისადმი, და საჯიჯგნად ჩვენსავით ღატაკ სპარსელებს თუ დავრჩებით, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით...

ხოლო საბოლოო ჯამში მე ზურგს მიმაგრებს ჩვენი კლასიკოსის უკვდავი სტროფი, რომელიც ჯერ კიდევ სკოლაში დავიზეპირეთ ისე, რომ შინაარსზე არ დავფიქრებულვართ (ეს საბჭოთა სკოლაში არც იყო საჭირო): „რასაცა გასცემ, შენია, — რას არა, დაკარგულია!"

იქნებ სწორედ რუსთაველმა გვიკარნახა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გზა?

*რამაზ კლიმიაშვილი*

P.S.

*რედაქციაში შემოსული საავტორო მასალა, ცხადია, საკამათოა, და „ჯ.თ." ზოგ პოზიციას არ იზიარებს*

პრობლემა

**- აქედან გამომდინარე დღესდღეობით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან ურთიერთობებ-**

შევქმნათ ძალა, რაც ნადიბაიძის ხელში, რა თქმა უნდა, არ მოხდება.

**- ამაში მხოლოდ თავდაცვის**

ფაქტობრივ უფლებამოსილებათა დონეზე, ე.ი. ფაქტობრივად ტერიტორია იყოს გაყოფილი, მაგრამ

ნასული იმ პიროვნებებისა, ვინც იქ მუშაობენ.

**- თავისუფალი ეკონომიკური ზონები კავკასიაში დღეს**

ისპირდება რუსეთს. საქართველო დაუპირისპირდება, შევარდნაძე - ვერა. აქ არსებითი სხვაობაა.

No 5.1997

თაიმსი

24-27 /I/ 1997